ცნობის ფურცელი

№ 2258 კვირა, 7 სექტემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2258

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: თითოეული სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერსა ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-149 №-რი

ნატალია გაბუნია ცაგარლისა აუწყებს გარდაცვალებულის საყვარელის მეუღლის

ავქსენტი ცაგარლის

ნათესავთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქმნება დღეს, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში. (3—უ—3)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს გარდაცვალებულის

ავქსენტი ცაგარლის

ნაცნობთა და პატივის მცემელთ, რომ განსვენებულის სულის მოსახსენებლად წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება დღეს, 7 ენკენისთვეს, ქვაშვეთის ეკლესიაში. (3—უ.—3)

კნეინა ერნესტინა დადიანისა, კნიაჟნა ეკატერინე ილიას ასული დადიანი, იულონ და იოსებ დადიანები და კნეინა ელენე წულუკიძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ქმრისა, მეორე—მამისა და უკანასკნელნი—ძმისა

თავადის ილია იულონის ძის დადიანისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზე 7 სექტემბერს, სოფ. მოიდანახეს (ქუთაისის გუბერნია, ზუგდიდის მაზრა). (3—150—3)

ფოთის საბუღალტერო კურსები
კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები მსურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს. (5. 0—14)

ცინკოგრაფია

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

განკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. მიმინაძე—კბილის, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ა. ზ. მალალაშვილი. ბავშ. და შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ზრ. ვ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. ბ. მანსვეტოვი—10 ს.—12 საათ. კვირაობით შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილის, 10 ს.—11 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი—ქალის და სენებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1.

ვ. ბ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, 10—12.

საღამოთი:

ა. ზ. მალალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ორი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, [illegible] ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდე საღამ. საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

ჩემბერლენი

გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, ინგლისის სამი მინისტრი: ჩემბერლენი, რიჩი და გამილტონი სამსახურიდან გადადგნენო. კოლონიების მინისტრ ჩემბერლენის გადადგომას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩემბერლენი დიდ როლს თამაშობდა სოლსბერისა და ბალფურის სამინისტროში. 1895 წელს აქეთ კოლონიების მინისტრად იყო და მეტად ნიჭიერადაც ჰმართავდა თავის საქმეს. ორსავ სამინისტროს ნამდვილი სულის ჩამდგმელი და მეთაური კოლონიების მინისტრი იყო. 1895 წელს აქეთ ჩემბერლენის სახელი პირზე ეკერა ყველას. ინგლისში ერთი რიგი ხალხი სწორედ თაყვანსა სცემს, აღმერთებს „მოხუც ჯოს" (ჩემბერლენს), სამაგიეროდ ისეც არავინ სძულთ და ეჯავრებათ, როგორც ჩემბერლენი. ოპოზიციასა და ნამეტნავად ირლანდიელებს საშინლად სძულთ ინგლისის „ბოროტი სული". ირლანდიელებმა „იუდას" სახელი უწოდეს ჩემბერლენს. ბურებს ხომ ამისი სახელი გასაგონადაც ეჯავრებათ. არა თუ თითონ ინგლისში, ჩემბერლენის სახელი გარეშე ქვეყნებშიაც ყველას პირზე აკერია და ინგლისის კოლონიების მინისტრის მოქმედება ყველას სალაპარაკოდ აქვს გამხდარი. ამ უკანასკნელ 8 წელიწადში ჩემბერლენისთანა გავლენიანი და გამოჩენილი პოლიტიკოსი მთელს ქვეყნიერობაზე არავინ ყოფილა.

ჩემბერლენი მედგარი, მხნე და გამჭრიახე პოლიტიკოსია, მჭევრმეტყველი ორატორი და მოხერხებული აგიტატორი. ჩემბერლენი ლიბერალ-იმპერიალისტია. იმპერიის გაერთიანებას, გაძლიერებას ახლად გადამდგარი მინისტრი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და ყოველთვის ირლანდიის განცალკევების წინააღმდეგი იყო. 1886 წელს ჩემბერლენი თავის დასით ირლანდიის საკუთარ პარლამენტის თაობაზე გლადსტონსა ლიბერალურ პარტიას გადაუდგა და კონსერვატორებს მიემხრო. ორივ დასმა უნიონისტების (ინ-

ფელეტონი

რაბინთა ფიცი

...სდუმდა დარბაზი... თითქო რაღაცას
ელოდებოდა მთელი კრებული
და ადგილიდან აღარ იძვროდა
ერი, სხვადასხვად ჩაფიქრებული.
მამა-პაპათაგან გადმონაცემი
დღეს ერყეოდა რწმენა საზარი,
გუშინ იმარჯვებდა მართლმსაჯულება,
გუშინ ხურობდა აღთქმის ტაძარი.
სდუმდა დარბაზი... და ამ დუმილში
უცბად გაისმა ხმა ლმობიერი,
ხალხის წინაშე წარსდგა რაბინი,
თავს უმშვენებდა თეთრი თმა-წვერი.
ცრემლ-მორეულმა დაიჭდო ხელნი,
კრებულს მიაპყრო მწუხარე თვალი
და სთქვა: „მე ვიტყვი, მხოლოდ გამგონე
ძირს თქვენ იქნებით, მადლი—უფალი.
ვფიცავ შემოქმედს ცისა და ქვეყნის,
ვფიცავ მის შექმნილს ტურფა სამყაროს,
ვფიცავ სინიდისს, ამ სასტიკ მსაჯულს,
მასვე, სიმშვიდის უშრეტელ წყაროს;
ვფიცავ აბრაამს, ჩვენს მამათ-მთავარს,
ვფიცავ ისააკს, ვფიცავ იაკობს,
ვფიცავ მოსეს წინასწარმეტყველს
სჯულის სადებლად ზეცით განაბრძნობს,—
რომ კაცის სისხლი... ქრისტიანთ სისხლი
ჩვენ არასოდეს არ გვიხმარია;
ეს ჩვენს საგმობლად შეთხზული აზრი
ცილის წამება და ზღაპარია.
ერი დევნილი ათასის წლობით
ბედით ატარებს ამ მწველ ცარას,
თქვენ ჩვენს სისხლს სვამთო—დაურიდებლად
გვწამებიან დიდს და პატარას.
და ჰა, ისრაელთ ერის სახელით
საქვეყნოდ ვფიცავთ, რომ ვერც მართალი,
ქრისტიანთ სისხლი თუ ჩვენ გვეხმარას,
გვრისხავდეს სჯული და სამართალი".
ეს სთქვა მოხუცმა, ცრემლის წყარომ
აუკანკალა მადლიანი ხმა
და საპასუხოდ დიდსა დარბაზში
მწარე ქვითინი ირგვლივ გაისმა.
სტიროდეთ, ხალხნო, თუმც თქვენს შეცდომას
ვერ გაასწორებს ტირილ-ვაება,
თქვენ სდევნეთ ერი, ვინც გცათ ნათელი,
ვინც მოგცათ ქრისტე და ათი მცნება.
ღვთისგან რჩეულ ერს კაცთ სამარცხვინო
დაღი დაასვით, ვით მხეცს ტყისას...
ნეტა ვიცოდე,—ვინ ვის სისხლსა სვამს:
იგი თქვენსას, თუ თქვენ იმისას?!.

განდეგილი.

პატარა ამბები

(საკვირაო ფელეტონი)

ჩემს ფელეტონში ხშირად მქონია აღნიშნული ერთი მეტად დიდ-მნიშვნელობიანი მოვლენა ჩვენი ცხოვრებისა, ეს არის დამახინჯება, დაგლახაკება, სულით დაცემა ადამიანისა დღევანდელის ვითარების მიერ. ძალა უნებურად იზიდავს ფხიზელის, დამკვირვებელის ყურადღებას ეს ამდენი დაფრთხალი, დამუნჯებული, წელში მოხრილი, სახე-გამოთაყვანებული, გონება-მოჩლუნგული ადამიანი, ამდენი მშიშარა, რომელსაც ერთნაირად ეშინია როგორც სიცოცხლის, ისე სიკვდილის, როგორც მოძრაობის, ისე ერთ ალაგას გაჩერების, რომელსაც ძილშიაც-კი ვერ მოუსვენია და საშინელ სიზმრებს დაუმონებია!.. ამდენი გონებით გახრწნილი, სინიდის გარყვნილი, ფლიდი, გაიძვერა, გამცემი, მოღალატე, ჯაშუში, ძმის სისხლის მწოვი ადამიანი, რომელსაც უარ-უყვია ენა, ეროვნება, სჯული, ყოველივე პატიოსნება, სამართალი, საზოგადო ინტერესი და კეთილდღეობა, და მხოლოდ პირადი პირუტყვულის, უსულო არსებობისათვის შეუწირავს ყველაფერი!

იზიდავს ფხიზელის დამკვირვებელის ყურადღებას და მწარე, შხამით სავსე ფიქრებს აღუძრავს. საწუხაროა და დამაღონებელი იმდენად ის სიმშილი, ის გაჭირვება, შევიწროვება, სულის შეხუთვა, უზომო ტვირთი, მძიმე უღელი-კი არა, რომელიც სიცოცხლეს უმწარებს ადამიანს; არც ერთი, არც მეორე არ არის თავისთავად იმდენად მწარე, მწარეა ის დამახინჯება ადამიანის სულისა, სულისა მარტო კი არა, სხეულისაც, სახისაც, რომელიც თან მოსდევს ამ სიმშილს, ამ შევიწროვებას, ამ ტვირთს. მწარეა, აუტანელია ასე დასახიჩრებულ ადამიანების დანახვა და იმდენად ჯაშუშების და გაიძვერების-კი არა, რამდენად იმ გლახაკებისა, რომელთათვის სიცოცხლე ტანჯვაა, რადგან როგორც სიცოცხლე სავსეა ათასნაირის საშინელებით (პირველი საშინელება ხომ მეეზოვეა!)... ბარე ორჯერ ვეცადე, მოთხრობის მსგავსი ფელეტონით უფრო ფართოდ და მასთან კონკრეტიულად დამეხატა უკანასკნელების ტიპი. მკითხველს, უეჭველია, ახსოვს ერთი ქართველის მოხელის ვახტანგ გიორგიჩის ისტორია (ცნ. ფ. № 2181), რომელიც საკუთარის გონების შიშმა ავად გახადა და წუთის სოფელს გამოასალმა. ცოტა თუ ბევრად ქართველობის უმრავლესობა დღეს ვახტანგ გიორგიჩია. შიში, შიში სიცოცხლისა, აი რა ახასიათებს ეხლანდელს ქართველს. აქედან წარმოსდგება მისი გაუბედაობა, ათას-გვარი კომპრომისი, საკუთარის თავის უარ-ყოფა, სულით დაცემა, მოწყალების თხოვნა, უკუგდება თვით მოქმედებისა და ხელის განძრევისა და, მოთმინება, მოთმინება, მოთმინება!..

ასეთი თვისებები ემჩნევათ ზოგიერთ „საზოგადო ასპარეზზედ" გამოსულ პირებსაც. ხსენებული თვისებები უფრო ეტყობათ მათ, რადგან მათი ცხოვრება უფრო ფართოდ ეჩვენება ყველას, მათი მოქმედება უფრო გამოაშკარავებულია ჩვენთვის; ისინი სწერენ, ყველანი ვკითხულობთ, ისინი ლაპარაკობენ, ყველას გვესმის, ისინი მოქმედობენ, ყველა ვხედავთ.

მე მინდა ავიღო დღეს ბ. ივანე როსტომოვ-როსტომაშვილის „მოღვაწეობა", შევეხო მის უკანასკნელს პედაგოგიურს პროექტებს. მაგრამ სრულებით არ მაინტერესებს ბ. როსტომაშვილის პროექტები პედაგოგიურის მხრით, მათ განვიხილავ იმდენად, რამდენად ახასიათებენ ბ. როსტომაშვილის ზნეობრივს ფიზიონომიას და რამდენად მათში გამოიხატება დღევანდელის ცხოვრების ვითარება.

ამა წლის 14 იანვარი შესანიშნავი დღეა ჩვენს მიყრუებულ ცხოვრებაში. სამეურნეო საზოგადოებაში შემთხვევა მოგვეცა ადგილობრივ მცხოვრებლებს, საჯაროდ გამოგვეთქვა ერთი ჩვენი უმთავრესს წუხილთაგანი, რომ დაჩაგრულია კავკასიელ ერთა ენები, რომ ჩვენებური სახალხო სკოლა ყოვლად უვარგისს პირობებშია ჩაყენებული, რადგან იგი არ ასწავლის ბავშვებს სამშობლო ენაზე, არამედ უცხო, გაუგებარ ენაზე, ამიტომ ხშირად არამც-თუ სარგებლობა არ მოაქვს, მავნებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლისის ერთობის მომხრეთა) პარტია შეადგინეს. მართალია, ჩემბერლენი კონსერვატორებს მიემხრო, მაგრამ იმათ ჭკუასა და ნებაზე კი არ უვლია, პირიქით, ყოველთვის კონსერვატიულ სამინისტროს თავის ნებასა და ჭკუაზე ატარებდა: კონსერვატიულ სამინისტროს მოქმედებას, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ახალი, უფრო დემოკრატიული ხასიათი მისცა. არჩევნების დროს 1895 და 1900 წ. ჩემბერლენის ჩაგონებით უნიონისტების სამინისტრო ბევრ სოციალურ რეფორმას დაჰპირდა მუშა ხალხს, მაგრამ ასრულებით კი ბევრი არა აუსრულებია-რა. ჩემბერლენი სოციალური რეფორმების დაპირებით მარტო ხალხს იზიდავდა, ნამდვილად მინისტრს გული უფრო საიმპერიო საქმეებისაკენ მიუწევდა; მინისტრს ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება უფრო აფიქრებდა, ვიდრე მუშა ხალხის ბედი. ჩემბერლენი ყოველთვის მედგრად ებრძოდა „პაწია ინგლისის“ მომხრეებს, ე. ი. იმ ლიბერალებს, რომლებიც იმპერიის გადიდებისა და ქვეყნების დაპყრობის წინააღმდეგნი არიან. ბურებთან ომიც მომეტებულ ნაწილად ჩემბერლენმა ასტეხა: უნდოდა, რომ ინგლისის სამფლობელო სამხრეთ-აფრიკაში გაეერთიანებინა. კოლონიების მინისტრი თავისებურის მოხერხებითა და მედგრობით შეუდგა ბურების რესპუბლიკების დაპყრობას და კიდეც გაიყვანა თავისი. რა აზრისაც უნდა ვიყვნეთ ამ ყოვლად უსამართლო ომზე, ის კი ყველასათვის ცხადია, რომ ჩემბერლენმა ამ ომს მეტად მარჯვე ასლი წამი შეურჩია: დიდმა სახელმწიფოებმა კრინტიც ვერ დასძრეს ინგლისის წინააღმდეგ. ტრანსვაალის შემოერთებამ დიდი სახელი მოუპოვა ჩემბერლენს ინგლისში: იმპერიალისტებს პირველ კაცათა და თავიანთ ღმერთად მიაჩნდათ. კოლონიების მინისტრზე გავლენიანი და სახელოვანი კაცი ინგლისში აღარავინ იყო.

გამარჯვებით წაქეზებული მხნე, მოუსვენარი მინისტრი ახალ საქმეს შეუდგა: ბრიტანიის იმპერიის გაერთიანება, განმტკიცება მოინდომა. წარსულ მაისს მინისტრმა პარლამენტში გამოაცხადა, თუ გვინდა, რომ იმპერია განმტკიცდეს და კოლონიები არ გაგვეყარნენ, უსათუოდ ყველა ჩვენ კოლონიას სავაჭრო პირობით უნდა შევეკრათ და კოლონიებიდან ინგლისში მოტანილ პურსა და სანოვაგეს შეღავათიანი ბაჟები დავადოთო. მინისტრმა პირველად მარტო ის მოითხოვა, რომ ინგლისის თავისუფალ ვაჭრობის წესები გამოვიკვლიოთ, გავიგოთ, შეეფერება ეს წესები ეხლანდელ მსოფლიო ეკონომიურს პირობებსა და გარემოებას, თუ არაო. მინისტრი იმას ატანდა, ძალას რომ თავისუფალი,უბაჟო ვაჭრობა მარტო ინგლისს აქვს დაწესებული, ყველა სხვა ქვეყნები კი დიდ ბაჟებს იღებენ უცხოეთიდან მოტანილ საქონელზე; ინგლისის გარდა, ყველა სხვა ქვეყანას ბაჟების ტყრუშული ლობე აქვთ შემოვლებული; ასე რომ თავისუფალი ვაჭრობა მარტო უცხო ქვეყნებისათვის გვაქვს დაწესებული, ჩვენ-კი ყველგან დიდ ბაჟს ვიხდითო. თუ სატამოჟნო წესები არ შევცვალეთ, ჩვენ ვაჭრობასა და მრეწველობას დიდი საფრთხე მოელის; შეერთებული შტატები და გერმანია თან-და თან გვაცლიან მსოფლიო ბაზარსაო. ამას გარდა, თუ ბაჟები არ დავაწესეთ, ჩვენი კოლონიები გაგვეყრებიან და ჩვენი დიდებული იმპერია დაემხობაო. კოლონიები თითონაც თხოულობენ ბაჟების დაწესებასაო. მართალია, პური და სანოვაგე გაძვირდება, მაგრამ სამუშაო ქირას უსათუოდ მოემატება, ასე რომ მუშა ხალხს ბაჟების დაწესება ზარალს არ მოუტანსო. ჩვეულებისამებრ, ჩემბერლენმა მუშა ხალხის გულის მოსაგებად გამოაცხადა, ბაჟების წმინდა შემოსავლით მოხუცებულ მუშებს პენსია უნდა დაუწესდესო. ასე აცხადებდა მინისტრი, მაგრამ გარკვეული სატამოჟნო პროექტი-კი ჯერაც არ შეუდგენია.

ჩემბერლენის განზრახვამ მთელი ინგლისი ფეხზე დააყენა და ორ ბანაკად გაჰყო: ერთი რიგი ხალხი ჩემბერლენს მიემხრო, მეორემ წინააღმდეგობა დაუწყო. ჩვენის გაზეთის მკითხველს ეცოდინება, რომ ეს რამდენიმე თვეა ინგლისში მრავალი კრება, კონგრესი და კონფერენცია იმართება ამ საქმეზე და ხალხი თითქმის ყველგან პროტესტს უცხადებს ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტს და მედგრად იცავს თავისუფალ, უბაჟო ვაჭრობას. კოლონიებმაც ხმა ამოიღეს; აღმოჩნდა, რომ იქაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია ჩემბერლენის პროექტს. ჩემბერლენს თვით ამხანაგი მინისტრები და თავის საკუთარ პარტიის დეპუტატებიც გადაუდგნენ. ფინანსთა მინისტრი რიჩი, დევონშირის ჰერცოგი და სხვ. აშკარად მიემხრნენ თავისუფალ ვაჭრობის დამცველთ. ოპოზიცია და თვით მთავრობის მომხრე პარტიაც კი აცხადებდნენ, რომ ინგლისის სამინისტრო ერთ გარკვეულ აზრს უნდა ადგესო, ესეთი განხეთქილება არასა ჰგავსო. ბოლოს დროს მომხდარ არჩევნებში სულ ლიბერალები გამოდიოდნენ გამარჯვებულნი. მთავრობის მომხრე პარტია და პრესა შეშინდნენ და აშკარად თხოულობდნენ ჩემბერლენის სამსახურიდან გადადგომას. ჩემბერლენსაც შეუსმენია ხალხისა და პრესის ჩივილი და სამსახურიდან გადამდგარა.

ჩემბერლენი ეხლა უფრო თავისუფლად შეუდგება აგიტაციას და თავის პროექტის ასრულებას უფრო მხნედ ეცდება. გაიმარჯვებს ჩემბერლენი თუ დამარცხდება, ეს ჯერ ძნელი სათქმელია. მაგრამ დარწმუნებულნი კი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩემბერლენი კიდევ დიდ როლს ითამაშებს ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფინანსთა მინისტრის რიჩის და ინდოეთის საქმეთა მინისტრის გამილტონის სამსახურიდან გადადგომა-კი სწორედ მოულოდნელი და ძნელი გასაგები ამბავია.

საზღვარ-გარედ

მაკედონია. „ბერლინერ ტაგებლატ“ ს სწერენ ვენიდან, აქაურ დიპლომატთა წრეებს ძლიერ აფიქრებთ ბალკანეთის საქმეო. ეხლა ყველა რწმუნდება, რომ ოსმალეთს არ შეუძლიან აჯანყების ჩაქრობა. ზოგი იმ აზრისაა, რომ იქნება სჯობდეს, ოსმალეთს ბოლგარიასთან ომის ნება მივცეთ და ამით გაჭირვებიდან გამოვიყვანოთო. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი ადვილად გაჰბედავს ბოლგარიასთან ომს. ამბობენ, სამხრეთ-ჰუნგრეთში ჯარის ალლუმის დროს ოსმალეთის სამხედრო ატაშემ შუქრი-ფაშამ, ოსმალეთის სამხედრო მინისტრის შვილმა, უცხოელ ატაშეთა (საელჩოს წევრთ) წრეში სთქვა: მამა ჩემი ოსმალეთის მთავრობას გადაჭრით ურჩევს: ბოლგარიასთან ომი დაიწყეთო. ეს ომი დაიწყებოდა კიდეც, მაგრამ სახელმწიფოებმა ომის ნება არ მისცეს ოსმალეთსაო.

◆ სოფიიდან სწერენ „ფრანკფურტ ცაიტუნგ“-ს, ოსმალები ადრიანოპოლის ვილაეტშიაც ისე სასტიკად ექცევიან აჯანყებულთ, როგორც ბიტოლიის ვილაეტში ექცეოდნენო. მთელი კირ-კილისეს ოლქი ქურთებითა და ალბანელებით გაავსეს. ესენი ყველაფერს განურჩევლად სწვავენ და ყველას, ვისაც შეჰხვდებიან—ჰკლავენ. ოსმალეთის ცხენოსანი რაზმები ბოლგარიის საზღვარს ახლო დაძრწიან და ყველა გაქცეულ ბოლგარს ჰკლავენ. ჯარი განუწყვეტლივ მოდის ბოლგარიის საზღვარზე; შავის ზღვითაც ბევრი ჯარი მოჰყავთ.

◆ გაზ. „ავტონომია“ იუწყება, აჯანყებულნი ოსმალეთის სოფელს საზაროს იმიტომ დაეცნენ, რომ იქაურ ოსმალების ჯავრის ამოყრა უნდოდათო. საზაროელი ოსმალები თურმე ბოლგართ სოფლებს იკლებდნენ და ხალხს ჰხოცავდნენ. აჯანყებულთ საზაროს ნაწილი დასწვეს და ხალხი კი არ დაუხოციათ იმათ გარდა, ვინც ბრძოლის დროს მოჰკლეს. მშვიდობიან ხალხს აჯანყებულთ ხმაც არ გასცესო.

იგივე გაზეთი იუწყება, აჯანყებულნი შავი ზღვის პირას სოფელ ინიადას დაეცნენო.

აჯანყებულთ სოფელ სმილევის ახლო ბრძოლა ჰქონიათ ოსმალებთან. „ავტონომია“ იუწყება: ნამდვილად ვიცით, რომ ოსმალეთში 8 ათასი ოსმალი ჯარის-კაცი იყო. ბრძოლამ 38 საათს გასტანა. ოსმალები ძალიან დამარცხდნენ. თითონ ოსმალები ამბობენ, ბიტოლიის რაზმი მთლად გაწყდაო და მეორე რაზმიდან მარტო 70 კაცი გადარჩაო. ბოლგარებს ოსმალებმა იმით გადაუხადეს სამაგიერო, რომ სოფლები სმილევო და მეტიმერი დასწვეს. ხსენებულ სოფლის დედაკაცები და ბავშვები ტყეში დაიმალნენ; ოსმალებმა გაიგეს ესა, ტყეს თოფი დაუშინეს და ბოლოს სულაც დასწვეს.

◆ ფილიპოპოლიდან იუწყებიან: მაკედონიის კომიტეტი ახალ-ახალ რაზმებს ადგენს, ბოლგარიის საზღვარზე გადაჰყავს და ადრიანოპოლში ჰგზავნისო. მას აქეთ, რაც ადრიანოპოლის კომიტეტის მეთაურობა ბორის სარაფოვმა იკისრა, აღმოსავლეთ რუმელიაში და მაკედონიაში 170 რაზმი შესდგაო. რაზმის უფროსთ უკანასკნელ ექვსის თვის განმავლობაში ინგლისიდან 190 კილოგრამი დინამიტი მოიტანეს; ამას გარდა დიდ-ძალი თოფიც იყიდეს და ფილიპოპოლის განაპირა უბანში დამალესო.

ოფიციალური ცნობა

იბეჭდება თანახმად საცენზურო კომიტეტის მოწერილობისა.

ქართულ გაზეთ „ცნობის ფურცლის“. მე-2255 ნომერში, 4 სექტემბერს, მოთავსებულია შენიშვნა იმის, რომ საპენსიო კასსის შეცვლილ წესდების ძალით მოსამსახუ-

---

ლიცაა და საზარალოცა. ეს ჭეშმარიტებაა, ეს ყველასათვის ცხადია და დამტკიცებაც არ უნდა; მხოლოდ თუ რაიმე გარეშე მოსაზრებას წამოვაყენებთ, თუ სახალხო სკოლის მიზანი ხალხის განათლება და კეთილ-დღეობა კი არ იქმნება, არამედ ხალხის გადაგვარება სხვის საკეთილ-დღეოდ, მაშინ... მაგრამ მაშინ რისიმე დამტკიცებაა საჭირო? მაშინ ხომ გონება უკუ-გდებულია, სიმართლე დაგმობილია!..

როდესაც ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეიმ წაიკითხა მოხსენება ადგილობრივ სახალხო სკოლებში ადგილობრივ ენების გაბატონების საჭიროების შესახებ, თვით რუსნიც კი გაჩუმდნენ სამართლიანის სიტყვების წინაშე გარდა ერთის რუსის მოხელისა. მხოლოდ ადგა ბ. ივ. როსტომოვი და გამოესარჩლა ახალი პროექტის მიერ რუსულ ენის... დაჩაგვრას. ყველანი ეგოისტები ვართ, ყველას გვინდა ჩვენი ენა გავაბატონოთ ჩვენს სკოლებში, ეს არ ვარგა, არ შეიძლება რუსული ენის დაჩაგვრა (?!) და აუცილებლივ საჭიროა, რომ ერთსა და იმავე დროს საგნების სწავლება სახალხო სკოლებში იყოს ადგილობრივსა და რუსულს ენაზედაო!

ბ. როსტომაშვილი დღეს უარ-ჰყოფს, ასე არ მილაპარაკნია მე 14 იანვარს სამეურნეო საზოგადოებაშიო. მაგრამ ძლიერ სცდება, ანუ უკეთ: კი არა სცდება, არამედ ორგვარს შიშს შუაა ჩავარდნილი და ვერც იქით გადაუდგამს ფეხი და ვერც აქეთ, ვერც ამას ამბობს გადაჭრით, ვერც იმას, უფრო შეუგნებლად (დიაღ!), ვიდრე შეგნებულად უარ ჰყოფს თავის-თავს.

16 იანვრის გაზეთები ასეთ ნაირად გადმოგვცემენ ბ. ივანე როსტომოვის სიტყვებს: „ცნ. ფურც.“-ში სწერია: „ი. პ. როსტომაშვილმა კარგა ხანს ილაპარაკა და ის აზრი გამოსთქვა, რომ რუსულს ენას მეტი ადგილი უნდა დაეთმოსო. იმის აზრით, ყველა საგნების სწავლება უნდა სწარმოებდეს როგორც სამშობლო, ისე რუსულ ენაზე.“ მეორე ქართულ გაზეთში ვკითხულობთ: „ბ. ივანე როსტომაშვილი ამტკიცებდა, სამშობლო ენა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ამავე დროს საჭიროა სწავლება პარალელურად რუსულ ენაზედაც სწარმოებდესო.“ ამასვე იმეორებს რუსული „ნოვ. ობოზ.“-იეც: „ბ. როსტომოვმა წინადადება შემოიტანა, რომ სახალხო სკოლაში მეორე წლიდან ყველა საგნების სწავლება სწარმოებდეს როგორც საბშოლო, ისე რუსულ ენაზეო.“

ბ. როსტომაშვილი მაინც ფიცულობს: არა, მე ეგ არ მითქვამს, სტყუიან გაზეთებიო (დამსწრენიც?)! ჩემი აზრი იყო: საგნების რუსულ ენაზე შესწავლა კი არა, არამედ რუსული ენის შესწავლა საგნების შეწყობითაო. „რუსული ენაც (და არა რუსულ ენაზე! როსტ.) მარტო ენის ლექსიურის ნაწილის შესწავლით არ უნდა ვასწავლოთ, არამედ იმავე დროს არითმეტიკის, სამღვთო რჯულის, ბუნების მეტყველების და ისტორია-გეოგრაფიის უსაჭიროესი კონკრეტიული ლექსიურის ნაწილების შესწავლითაც ამ ენაზეო“, ასე ვამბობდიო, გვარწმუნებს ბ. როსტომოვი „მოგზაურის“ I—II ნომერში. „სწავლა-აღზრდა მთელი კურსის განმავლობაში სავსებით სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდეს, მხოლოდ რუსული სავსებითვე უნდა შეისწავლებოდეს იმავე საგნების თვალ-საჩინო ნაწილის შესწავლით (და არა სწავლებით! როსტ.)“, იმართლებს მეორე ადგილას თავს. სწორედ, ძნელი გასაგებია ბ. როსტომაშვილის სოფისტიკა. რა არის ეს რუსული ენა და რუსულ ენაზე, შესწავლა და სწავლება, კონკრეტიული ნაწილი? ყველაფერი ეს თვალების აბმაა, თავის მოტყუილებაა, მხოლოდ თუ სხვების არა!

შეიძლება, ბ. როსტომოვს თვითონ არ ესმის კარგად თავისი აზრი! ვეცდები ერთმანეთს დავუპირდაპირო მისი სხვა და სხვა დროს ნათქვამი სიტყვები და ერთი-მეორის შემწეობით ნათელ ვყო ყოველი აზრი. ბ. როსტომოვმა თავისი აზირებული პროექტი საგნების ორს ენაზე სწავლებისა ჯერ 1895 წელს გამოაქვეყნა და მაშინ სწერდა: „საათიანი გაკვეთილის შეცვლა 40 წამიანის გაკვეთილით და იმისგან წარმომდგარი სიმრავლე გაკვეთილებისა კიდევ იმით არის სასარგებლო ჩვენი სახალხო სკოლისათვის, რომ შეძლებას გვაძლევს, **გასწავლოთ** საგნები **თანასწორ**, ქართულადაც და რუსულადაც, ე. ი. თუ დღეს ქართულად ვასწავლეთ საღმრთო წერილი, ხვალ რუსულად ვასწავლით; თუ დღეს ქართულად ვასწავლეთ არითმეტიკა, ხვალ რუსულად ვასწავლით და ასე ამგვარად“ (ივ. 95, № 24). აქ ცხადზე უცხადესია ბ. როსტომაშვილის აზრი! ამ აშკარად გამოთქმულის აზრის თანახმად დაანაწილა მაშინ ორ განყოფილებიან სახალხო სკოლაში გაკვეთილები: ქართულს ენას დაუთმო 8 გაკვეთილი თითოეულ განყოფილებაში, რუსულს 10 და ყოველს განყოფილებაში „სამღვთო სჯულს ქართულად 3, იმავე რუსულად 3, არითმეტიკას ქართულად 3, იმავე რუსულად 3“. ამრიგადვე განაწილებული საგნები სამ განყოფილებიან სკოლაშიც. ასეთი იყო მაშინ ბ. როსტომაშვილის პროექტი!

ნათლად და აშკარად სწერდა ბ. როსტომოვი 8 წლის წინად. ყველასათვის გასაგებად ლაპარაკობდა 14 იანვრის კრებაზე. ახლა კი ორ აზროვანობს, გზა-კვალს იბნევს და გვიბნევს ჩვენც. რად? შიშმა დაუბნია დავთარი. ერთის მხრით ეშინია, მამულის მოღალატედ არ დამსახონ, მეორეს მხრით მამულიშვილობა არ დამწამონ? თუ ფლიდობს, ეშმაკობს, ანგარობს? ჩემის აზრით, ბ-ნი როსტომოვი სტყუის შეუგნებლად!..

მაგრამ ვერავის კი ვერ მოატყუილებს, რადგან, მიუხედავად სხვა და სხვა სოფისტიკურ ხრიკებისა, რომელთა შემწეობით უნდა გადაატრიალოს, შესცვალოს, სხვა სახით დაგვანახვოს თავისი პირვანდელი, ნამდვილი აზრი, ეს აზრი ხმა მაღლა ღაღადებს თავის მისწრაფებას. ცეცხლი თივაში უფრო დაიმალება, ვიდრე ბ. როსტომოვის აზრი მის სიტყვებში. განა მისი ახალი პროექტი იგივე არ არის, როგორიც იყო 1895 წლისა, იგივე არ არის სისხლით და ხორცით, არსებითად? რას თხოულობს ბ. ავტორი დღეს? „ჩემის სისტემით, სწერს დღეს (მოგზ. VII—VIII): სწავლა, მართალია, მოწყობილია სამშობლო ენაზე და რუსულად კი მოსწავლენი მხოლოდ წერა-კითხვასა და ლაპარაკს სწავლობენ ყველა საგნებიდან, მაგრამ ცოდნა რუსულის ენისა მაინც იმდენად დიდი იქნება, რომ მოსწავლეთ არ გაუჭირდებათ წაკითხვა და გაგება სახალხო სკოლებისათვის დაწერილ წიგნაკებისა. ეს კი უმთავრესი საგანია ამ საქმეში, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეიძლება შემოერთება ადგილობრივ მკვიდრთა რუსეთის და საზოგადოთ ევროპის სანტრელ ცივილიზაციასთან“... დახეთ, რა „მაღალის“ მოსაზრებით ხელმძღვანელობს ბ. როსტომოვი! ამავე აზრს გამოთქვამს თავის რუსულ წიგნაკში (ახალი სახალხო სკოლა, გვ. 20) ასეთნაირად: „რუსულის ენის შესწავლა და შეთვისება უნდა დავამყაროთ ყველა იმ საგნის კონკრეტიულ მასალის თვალსაჩინო შესწავლაზე, რომელსაც გადიან მოსწავლენი სამშობლო ენაზე“.

რაც უნდა ბევრი აწვალოს სიტყვები, რაც ბევრი ატრიალოს ფრაზები ბ. როსტომოვმა, მაინც ერთად-ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ მის ნალაპარაკევისა და წერილიდან: მოსწავლეებმა სახალხო სკოლებში ერთი და იგივე საგანი უნდა გაიარონ, უნდა შეისწავლონ სამშობლო და რუსულ ენებზე. მეტად გულუბრყვილო ბრძანდება ავტორი, თუ ჰგონია, ვისმეს დაარწმუნებს, რომ რაიმე არსებითი განსხვავება იყოს „საგნის შესწავლისა რომელსამე ენაზე“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ წასვლის დროს არ მიეცემათ საპენსიო კასაში შეტანილი ფულიო. ამ შენიშვნაში შეცდომაა. პირიქით, ახალ წესდების ძალით, 1904 წლის პირველ იანვრიდან ძველ მოსამსახურეთა უფლებანი უკეთესდება იმით, რომ ხაზინას იმათთვის კასაში საკმაო ფული შეაქვს და სამსახურიდან წასვლის დროს, იმის-და მიუხედავად თუ რამდენი წელიწადი უმსახურნიათ, მიეცემათ როგორც თავიანთ მიერ შეტანილი, ისე ხაზინიდან გადაცემული ფული სარგებლით, თუ პენსიის მიღებას არ მოისურვებენ.

რკინის გზათა უფროსი
ინჟ. ივანოვსკი.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 7 სექტემბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ დრამატურგის **ავქსენტი ცაგარლის** სულის მოსახსენებლად.

◆ გუშინ, 6 სექტემბერს, რომის კათოლიკეთა **მიძინების** ეკკლესიაში ქალაქის გამგეობის კანკარგულებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქველ-მოქმედის განსვენებულ **ნიკოლოზ ივანეს ძის ზუბალაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი, საბჭოს ხმოსნები, გამგეობის მოხელენი და სხვანი. დღეს, 12 საათზედ, ჩაჰყრიან საძირკველს და აკურთხებენ ზუბალაშვილის სახელობის თავ-შესაფარის შენობისას.

◆ 5 სექტემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა გადასცა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თ-დ დ. ზ. მელიქიშვილს იმ თანხიდან, რომელიც **საზოგადო საჭიროებისათვისაა** დანიშნული, 6200 მანეთი. აქედან ტფილისის საშუალო სასწავლებლის გაჭირვებულ მოსწავლეთათვის 1200 მ., უბედურ შემთხვევებში შემწეობის აღმოსაჩენად—3000 მანეთი და ტფილისისა და თელავის წმ. ნინოს სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ—2000 მანეთი. ბანკმა აგრეთვე გადასდო 8,400 მანეთი უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიანტების შესანახად იანვრის პირველამდის.

◆ **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგეობამ გუშინ შეატყობინა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ გამგეობამ ქალაქის საბჭოსაგან დანიშნული შემწეობა 500 მან. ამ წლისა უკვე მიიღო, და სთხოვს უღრმესი მადლობა გადასცეს საბჭოს. ამასთანავე გამგეობა ატყობინებს მოურავს, რომ გამგეობამ მრავალი თხოვნა მიიღო ღარიბ სტუდენტებისაგან, მაგრამ ფულის უქონლობისა გამო იძულებულნი ვართ უყურადღებოდ დავტოვოთო. ამიტომ სთხოვს იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, შემდეგშიაც ამდენივე შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოებას, რამდენიც წელს აღმოუჩინა.

◆ საერო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულმა საბჭომ შეიმუშავა პროექტი ახალ წესებისა **პირველ-დაწყებით სკოლების წიგნთ-საცავებისთვის**.

◆ **ტფილისის ადგილობრივმა დურგლებმა** კარგა ხანია დააწესეს მუშაობა დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვს საათამდე. სამწუხაროდ, ამ წესს ასრულებენ მხოლოდ ქართველი და სომეხი დურგლები, ხოლო სპარსეთიდან მოსული აისორები და სპარსნი უფრო ადრე იწყებენ მუშაობას და უფრო გვიან ათავებენ. ამას გარდა სპარსელნი გაცილებით უფრო იაფადაც მუშაობენ. ამიტომ ამ ბოლოს დროს ტფილისში ბევრი საქმე გადავიდა იმათ ხელში და ბევრი ქართველი და სომეხი დარჩა უსაქმოდ.

◆ 5 სექტემბერს ტფილისის ოლქის **სასამართლომ გაარჩია** საქმე ამიერ-კავკასიის რკინის გზის მაშინისტის გიორგი მიხაილოვისა და რკინის გზის ხელოსნის დანიელ ზინჩენკოსი, რომელთაც დაუდევრობა ჰბრალდებოდათ, რის გამოც 1899 წელს 17 სექტემბერს ტფილისიდან ყარსში მიმავალი სახალხო მატარებელი № 2 სოღანლუღთან ლიანდაგიდან გადავარდა და რამდენიმე ვაგონი დაიმსხვრა. ხუთი კაცი დაიღუპა და ბევრი დაშავდა. ამ საქმის გამო ჩვენება ჩამოერთვა 50 მოწმეს. საქმის გარჩევამ გასტანა ღამის 10 საათამდე. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა მიხაილოვს ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და საპყრობილეში 8 თვით დაპატიმრება, ხოლო ზინჩენკოს—ორის თვით დაპატიმრება.

◆ 1904 წლიდან ჰფიქრობენ ამიერ-კავკასიაში **გაამრავლონ საქციზო ზედამხედველებისა** და კანტროლერების რიცხვი.

◆ ტფილისის ვაჟთა **პირველ საკვირაო სკოლის** გამგემ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ის 300 მან., რომელიც ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასდო ამ სკოლის საჭიროებისათვის.

◆ **მთავარ-მართებლის თანაშემწე** გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე 5 სექტემბერს პეტერბურგიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ **თელავი.** თელავის ყველა სასწავლებელში განმეორებითი გამოცდა და მისაღები ეგზამენები გათავდა აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. პირველ სექტემბერს-კი სწავლა დაიწყეს, ხოლო სასულიერო სასწავლებელში აგვისტოშივე დაიწყეს სწავლა. წელს ამ სასწავლებელში ბევრ ერის კაცსაც მოუყვანია შვილი. სასწავლებლის მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე იმათ მიღების შესახებ.

◆ რადგან ორშაბათს, 8 სექტემბერს ღვთის მშობლის დაბადების დღეა, **ასოთ-ამწყობთა** მიერ 7 სექტემბერს დანიშნული წარმოდგენა გადაიდო და შესდგება ორშაბათს, 8 სექტემბერს.

◆ ავლაბარში ქუჩა-ქუჩა დარბის ერთი სულით ავადმყოფი, გვარად ალექსანდრე ასლამაზოვი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს გამვლელ-გამომვლელთ. ამ კაცისაგან შეწუხებულნი არიან სკოლებში მიმავალი მოსწავლე ქალები და ვაჟები, რომელთაც მივარდება და უწმაწურ სიტყვებს გარდა ხშირად ტანისამოსშიაც სწვდება და ქნევს ხოლმე. პოლიციამ აცნობა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ასლამაზოვი სულით ავადმყოფთა სახლში მოათავსოს.

◆ 16 სექტემბრისთვის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთა არტემ ქალანთაროვისა და იმის ორის მოსამსახურის არშაკ ჩერქეზოვისა და გასიდ მარაგოვისა, რომელთაც ბრალდებათ ადგილობრივ მღვდლის გაქურდვა და იმის მოსამსახურის მოკვლა. ქალანთაროვს დაიცავს პეტერბურგელი ვექილი გრუზენბერგი.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს, რა ფასია ამ ჟამად ქალაქში ფუთ ნავთისა და საჟენ შეშაზე.

◆ დღეს და ხვალ გამოსცდიან იმ მასწავლებლებს, რომელთაც თხოვნა შეუტანიათ ვაზბეკის (ვერაზე) სკოლაში მასწავლებლობაზე. ამ სკოლაში ორი ადგილია თავისუფალი, ხუთ-ქალს-კი უთხოვნია.

◆ მეტად მოუწყობელია ამ ჟამად პირველი თუმანოვის ქუჩა, ანუ „მიკვიცევისა“, როგორც ეხლა ეძახიან. ეს ქუჩა ქალაქის გამგეობისა და სახლის პატრონთა დაუდევრობით მოუკირწყლელია. თუმცა ქუჩა ვიწროა, მაგრამ დიდძალი ურემი, დროგი და ეტლი დადის. რკინის გზის სადგურისაკენ მიმავალნი სულ ამ ქუჩაზე დადიან. ქუჩა დაღრო-ჩაღროებულია და ბნელ ღამეში კაცი ფეხს მოიტეხს.

◆ გუშინ ვარანცოვის ძეგლთან ერთმა ჯიბგირმა ხელი ჩაუყო ჯიბეში და ფულის ამოცლას უპირებდა დუშეთის მცხოვრებს აზიზოვს, რომელიც რიყის ტრამვაიში ჯდებოდა. აზიზოვმა გაიგო და ხელში სწვდა, მაგრამ ჯიბგირმა ხელი გამოსტაცა და გაიქცა. ჯიბგირი ველარ დაიჭირეს.

◆ მცხეთის სადგურზე მღვდლის სვიმონ ბაკურაძისთვის, რომელსაც შვილები ქალაქში მოჰყავდა, ერთს ჯიბგირს ჯიბიდან ექვსი თუმანი ამოუცლია.

◆ ავჭალის ქუჩაზე ტერ-გრიქუროვის სახლი № 56 ისე დაძველდა, რომ შესაძლებელია დაინგრეს და მდგმურებს რაიმე უბედურება ეწიოთ. ტფილისის საგუბერნიო საამშენებლო განყოფილებამ აცნობა გუშინ ეს ამბავი ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ხუროთმოძღვარი გაჰგზავნოს სახლის გასასინჯავად.

◆ აგვისტოში ქალაქ ტფილისის კასსას შემოსვლია: დასაფასებელი გადასახადი—26,359 მან. 93 კაპ., სატრაქტირო გადასახადი—1831 მან., ქალაქის მიწების საიჯარო ფული—6402 მან., ქალაქის წყლის მილისა—30,828 მან., 46 კაპ., ქალაქის საყასპოდან—6139 მან. და სხვა. სულ—87,919 მან. 75 კაპ.

რუსეთის ქრონიკა

◆ ტაგანროგის დროებით სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ და ამავე სასამართლოს პროკურორმა ინახულეს 27 აგვისტოს ნოვოჩერკასკში ნაკაზნოი ატამანი და პირადად იშუამდგომლეს მასთან, რათა სიცოცხლე აჩუქოს ალექსანდრე ბრაილოვსკის, დიმიტრი კოლოსკოვს და ანდრიანე კუკსინს, რომელთაც, როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, არეულობის მოთავეობისათვის სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

◆ ტამბოვის ოლქის სასამართლომ ერთი საინტერესო საქმე გაარჩია.

მოსკოვის გუბერნიის აზნაურიშვილი, გვარად ლემანი, 75 წლის კაცი, სასამართლოში იქნა მიცემული, რადგან საერობო უფროსი უჩიოდა, გუბერნატორთან წარდგენილ არზაში შეურაცხმყო, შემდეგი სიტყვებით მომიხსენიაო: „ბ-ნი მალევინსკი ერთ და იმავე დროს ორ თანამდებობას ასრულებსო—საერობო უფროსისას და მოვახშესასო“.

„საგნის **სწავლებისა** ამავე ენაზე“ შორის.

საქმე სრულებით ეს თუ ის სიტყვა არ არის, ბ. ივან პავლოვიჩ? საქმე თქვენი პროექტის დედა-აზრი და მნიშვნელობაა! რა მნიშვნელობას აძლევს ბ. როსტომაშვილი საგნების პარალელურად ორს ენაზე შესწავლას და როგორ იჩაგრება ამის გამო სამშობლო ენა, ეს კარგად სჩანს პის მიერ გაკვეთილების დანაწილებიდან (იხ. სახ. სკ., გვ. 22): „1 გაკვეთილი (გაკვეთილები 40 წამიანია)—წერა და კითხვა სამშობლო ენაზე, 2—სამღრთო რჯული სამშობლო ენაზე, 3—არითმეტიკა სამშობლო ენაზე, 4—წერა და კითხვა რუსულ ენაზე, 5—თვალსაჩინო შესწავლა სურათების შემწეობით სამღრთო-რჯულისა ლექსიურ მასალისა რუსულ ენაზე, 6—თვალსაჩინო შესწავლა ლექს. მასალისა არითმეტიკიდან რუსულ ენაზე“. ასე იქნება განაწილებული გაკვეთილები ყოველ დღე.

აქაც გულუბრყვილობს ბ. როსტომოვი, თუ ეშმაკობს, და ნიღაბ აფარებული გველაპარაკება, არ უნდა საგნის ნამდვილი სახე დაგვანახვოს. ჰგონია, რაკი „თვალსაჩინო“ შესწავლა იხმარა და „სურათების შემწეობით“, ამით საგანი შეიცვალა. მართლა? განა ერთი და იგივე შინაარსი არ ექნება საგანს, შევასწავლოთ მას მოსწავლეს წიგნით, სიტყვიერად გადაცემით, თუ სურათის დახმარებით? განა, მაგალითად, სურათზე თუ გამოხატულია „შობა“, მოსწავლემ არ უნდა იცოდეს, რა არის შობა, როდის ვდღესასწაულობთ მას, ვინ იყო იესო, ვისი შვილი იყო, სად დაიბადა, რა მოხდა იმ ღამეს და სხ. და სხვა?

წყლის ნაყვაა ბ. როსტომოვის ამდენი თავის-მართლება! აშკარაა მისი პროექტი: იგი ჩვენებურ სახალხო სკოლაში გაკვეთილებს შუაზე ანაწილებს, ნახევარს ანდომებს სამშობლო ენას და საგნების ამ ენაზე შესწავლას, ნახევარს რუსულ ენას და საგნების ამ ენაზე შესწავლის, ამ გვარად სჩაგრავს, ავიწროვებს და განსაცდელში აგდებს სამშობლო ენას და რამდენად ეს სჩაგრავს ნორჩ ბავშვების ტვინს, აფერხებს სახალხო სკოლის და თითქმის უნაყოფოდ ხდის მის მოღვაწეობას, ამაზე ლაპარაკი აქ მეტია.

ერთსა თხოულობდა ბ. როსტომოვი 1895 წელს (შეიძლება ადრეც!), ამასვე ამბობდა 14 იანვრის კრებაზე, ამასვე სწერს ეხლა. მერე რად აგდებს ასეთს მდგომარეობაში სკოლას, რად ადგენს ასეთს ანტიპედაგოგიურს პროექტს? უეჭველია, პოლიტიკურის მოსაზრებით, უკეთ: პოლიტიკურის შიშისა გამო.

მაგრამ ბ. როსტომოვის უმთავრესი უბედურება ის არის, რომ ვერასოდეს ვერ დაუნახავს თავისი ნამდვილი სახეც და მუდამ ის ჰგონია თავისი თავი, რაც არ არის. ჩვენ დავინახეთ, რომ დაჩაგრულია მისის პროექტით ადგილობრივი ენა. მაგრამ ბ. როსტომაშვილს ეგ არ სჯერა და პირიქით მოწინააღმდეგეებს უსაყვედურებს სამშობლო ენის დაჩაგვრას. ბ. სულთან-კრიმ-გირეის მოხსენება თხოულობდა: ოთხ წელიწადიან სკოლაში პირველ 3 წელიწადს სწავლება ყველა საგნისა სამშობლო ენაზე უნდა სწარმოებდესო. რუსულ ენას კი უნდა ასწავლიდნენ როგორც ცალკე საგანს პირველი წლის მეორე ნახევრიდანო. ეგ როგორ შეიძლებაო, სწყრება ბ. როსტომაშვილი, როგორ შეიძლება აგრე გამოდევნა სამშობლო ენისა სკოლიდან, სახალხო სკოლაში საგნების სწავლება მთელი კურსის განმავლობაში სულ სამშობლო ენაზე უნდა იყოსო!

შაქარი მის პირს! მაგრამ, მაგარი ის არის, რომ თუ ერთის ხელით სწყალობს სამშობლო ენას, მეორეს ხელით შავს დღეს აყენებს, სულს აძრობს. ერთის მხრით, ერთის სათაურით, ბ. როსტომოვს უნდა, რომ საგნების სწავლება თავიდანვე ნახევრად რუსულად სწარმოებდეს, მეორეს მხრით კი გვეუბნება: საგნების სწავლება სულ მარტო სამშობლო ენაზე უნდა იყოსო.

ახირებული ლოღიკაა! მაგრამ არის კი ლოღიკა? განა შიშმა ლოღიკა იცის? გაიხსენეთ ბ. როსტომაშვილის ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი რუსულ-ქართულად გამოცემული, მისი ქართულ-რუსული სურათები, მისის ჟურნალის სათაურები ორ ენაზე!...

საბრალო როსტომაშვილი! მას ვერ გაუგია, რომ მის „მოღვაწეობიდან“ დიდი მანძილი აღარ დარჩენილა, რომ სრულიად უარყოფილი იქნას სამშობლო ენა ჩვენში!

ბ. როსტომაშვილს წადილი აქვს ქართველ-მოღვაწეობდეს, სამშობლოს ემსახუროს, ბევრსა სწერს, ბევრს ლაპარაკობს, ბევრს პროექტს ადგენს (უხეიროს და უნიადაგოს), მაგრამ ისე ფეხს ვერ გადასდგამს, რომ უკან არ მოიხედოს, გამვლელ გამომვლელს სახეში არ უყუროს და თუ სადმე მწყრალი სახე დაინახა, მაშინვე კანკალს იწყებს, ნათქვამს უარ-ჰყოფს, გაკეთებულს ანგრევს, თავის ფიქრს თავისად არ სთვლის. კარგს ჩაიდენს ეშინია, ცუდსა—კიდევ ეშინია... გასაგებია მისი ფსიხოლოგია!

ბ. როსტომოვმა კრებაზე ერთი სთქვა პოლიტიკურის მოსაზრებით (შიშით). ეხლა ვითომ სხვას გვეუბნება. ასე ნათქვამის გადათქმა მისი ჩვეულებაა. 1895 წელს ჯერ მოითხოვა, სამღრთო რჯული ქართულადაც უნდა იყოს და რუსულადაცო, მაგრამ რომ დაინახა, ეს ეწინააღმდეგებოდა ოფიციალურ მოთხოვნილებას, მალე უკუაგდო თავისი აზრის ერთი ნაწილი. „მოგზაურის“ I—II ნომერში სწერდა: „რუსული ენის სწავლება უნდა მხოლოდ მეორე წლიდან დავაწყებინოთო“, ეხლა კი როგორც „მოგზაურის“ VII—VIII ნომერში, ისე თავის რუსულ წიგნაკში თხოულობს, რომ რუსული ენა პირველი წლის პირველ ნახევრიდანვე იქნეს შემოღებულიო! თუ 1895 წელს მალე გადათქვა თავისი აზრი სამღრთო რჯულის შესახებ, ეხლა კვლავ გადათქვა გადათქმული და სამღრთო რჯულის სწავლებას ორ ენაზე მოითხოვს. 14 იანვრის კრებაზე რუსულს ენას გამოესარჩლა, ჩვენ ეგოისტები ვართ—ბევრი გვინდაო, ეხლა ქართულს ესარჩლება(??) და რუსები არიან ეგოისტებიო, ამბობს.

სასაცილოა, რომ ბ. როსტომაშვილი ამდენნაირად გადათქმულს აზრებს ყოველთვის რამე ღრმა და მაღალ მოსაზრებას წარუმძღვარებს წინ. ზევით უკვე ვნახეთ, თუ რისთვის მოითხოვა სამშობლო ენის შეზღუდვა არა—სამშობლო ენის სასარგებლოდ. ამასვე თხოულობს ცხოვრების ინტერესისათვის: სკოლა ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდესო! თითქოს ცხოვრებას ყოველისავე მოთხოვნილების შესრულება სავალდებულო იყოს ადამიანისათვის. ბ. ივანე! ცხოვრება ბევრს სისაძაგლეს მოითხოვს ხშირად ჩვენგან და თუ ყველა დავაკმაყოფილეთ, ძლიერ დავეცემით!...

გავათაოთ ბ. როსტომოვზე—თუ როსტომაშვილზე. ასეც გაგვიგრძელდა საუბარი. ნათელია მისი ზნეობრივი ფიზიონომია. იმდენად საშიში პირდაპირ მოსული მტერი არ არის, რამდენად ბ. როსტომაშვილისთანა ყალბი საზოგადო მოღვაწენი. მისებური აზრები რყვნის საზოგადოებას, ძირს უთხრის ყოველს კეთილს მისწრაფებას, ასუსტებს შიგნით და გარეგანი ძალა ადვილად იმორჩილებს და იმონებს მას. ისევ პირდაპირი გამცემი ჯობია, ვიდრე ვითომდა კეთილის მოსურნე, რომელიც ვითომ „მაღალ“ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, ნამდვილად კი ძლიერ დაბალ მოსაზრებებს და საქმეებს ემსახურება; კიდევ უარესი, თუ შეგნებულად არა, არამედ შეუგნებლად!...

ოღონდაც ცუდს პირობებში ვცხოვრობთ, რომ ბ. როსტომაშვილისთანა პირები იბადებიან!

სიტყვა

ეროვნული

ლემანმა სასამართლოში საქმის გარჩევის დროს განმარტა, რომ დამნაშავედ არა სცნობს თავის თავს, რადგან ბ-ნი მალევინსკი მართლა მოვახშეობს, სხვა და სხვა კაცებს აძლევს ფულს სესხად და 12, 15 და მეტ პროცენტს ართმევსო.

ერთმა მოწმეთაგანმა აჩვენა, რომ მალევინსკიმ მამა მის, გლეხ-კაცს 35 მან. ასესხა და სარგებლის მაგიერ დაავალა ყოველ წლივ მოეთიბა და მოეგროვებია მისთვის თივა ორ დესეტინა ადგილზე: ეს სამუშაო სულ უკანასკნელი 8 მან. ღირს; ამნაირად საწყალი გლეხი აძლევს მალევინსკის ნასესხებ ფულზე 23 პროცენტს. მეორე მოწმემ აჩვენა, რომ იგი მალევინსკის 20 პროცენტს აძლევს ნასესხებ ფულზე; სხვა მოწმეების ჩვენებანიც ეთანხმებოდნენ ზემოხსენებულ ჩვენებათ, ამიტომ სასამართლომ სამართლიანად იცნო ბ-ნ ლემანის სიტყვები საერობო უფროსის მალევინსკის შესახებ და გაამართლა ბ-ნი ლემანი.

◆ ფინანსთა სამინისტრომ გაჰგზავნა საზღვარ-გარედ პეტერბურგის გუბერნიის საქარხნო ინსპექტორი ლიტვინოვი იმის შესასწავლად, თუ როგორ არის მოწყობილი ევროპაში უბედურ შემთხვევათაგან ქარხნის მუშების დაზღვევა.

◆ გზათა სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა საკითხი რკინის გზის მოსამსახურეთა სადგომების შესახებ და საჭიროდ სცნო, რომ ახალ გზების აშენების დროს წინ-და-წინ იქნას გამოანგარიშებული, რამდენი მოსამსახურე დასჭირდება გზის გახსნის შემდეგ მოსალოდნელ მოძრაობის მიხედვით და ამის და გვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ადგილი დასჭირდებათ მოსამსახურეთათვის სადგომების ასაგებად. საკითხს მეისრეთა და საზოგადოდ რკინის გზის მოსამსახურეთა შესახებ კომისია არსებულის წესით სამინისტროს გადასცემს გადასაწყვეტად.

◆ ბაქოს პატიოსან მშრომელთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებამ დაადგინა: დანიშნოს ორი სტიპენდია ბაქოს სასწავლებლებში ლ. ნ—ძის ტოლსტოის სახელობაზე, შეიძინოს სახელ განთქმული მწერლის პორტრეტი და მოახდინოს არა ჩვეულებრივ კრება, რათა ლ. ნ.—ძე საპატიო წევრად აირჩიოს.

◆ ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი შეუდგა მასალის შეგროვებას, სავაჭროებში მოსამსახურეთა სამუშაო დროის განწესრიგების შესახებ. ნოქართა საურთიერთო დახმარების ბევრ საზოგადოებათ მიუმართავთ ფინანსთა მინისტრისათვის და სთხოვენ მათ გაჭირვებულ მდგომარეობას მოუგვარონ რამე.

თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა წლის მოქმედებას აფართოვებს. აქამდე გამგეობა ქართულ წარმოდგენებს ჰმართავდა მხოლოდ თავად-აზნაურთა თეატრში, ამიერიდან ავლაბარს, ახალ თეატრშიაც გაჰმართავს. კვირაში ორი წარმოდგენა თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართება, ორიც ავლაბარში. სულ 16 ქართული წარმოდგენა თვეში, რაც ტფილისისთვის პირველია. ამის გამო გამგეობამ ძალიან დიდი დასი შეადგინა. ბევრ პიესას, თავად-აზნაურთა თეატრში წარმოდგენილს, ავლაბარში გაიმეორებენ.

—

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თავად სუმბათაშვილის (იუჟინის) ახალ პიესას სახელად „ღალატი" ჰქვიან. შინაარსი პიესისა საქართველოს ძველ ცხოვრებიდან არის აღებული. მტრისგან დაპყრობილი საქართველო ერთიან აკლებული და აოხრებულია. მტრის ჯარის წინამძღოლმა ეს არ აკმარა მიწასთან გასწორებულ სახელმწიფოს და მეფის ქვრივი საყვარლად გაიხადა. სპარსეთის ჯარის წინამძღოლი არაბია, შაჰის რწმუნებული, კაცი სასტიკი და ფანატიკოსი. ეს არაბი კაცებსა ჰგზავნის ყველგან და აძებნინებს საქართველოს ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრეს, რომელიც დედამ ერთგულ მოსამსახურეს ჩააბარა. როდესაც სპარსელები მივიდნენ, მოსამსახურემ ტახტის მემკვიდრე დამალა და მტერს თავისი ღვიძლი შვილი გადასცა, ეს არის მემკვიდრეო. გავიდა ამის შემდეგ ოცი წელიწადი. საქართველოში ხალხი აღელდა მტრის წინააღმდეგ, უნდა განდევნოს იგი და მხოლოდ მემკვიდრეს ელის, რომ წინ გაუძღვეს ხალხს სამშობლოს განსათავისუფლებლად, მაგრამ მემკვიდრეს ამ ჟამად შეუყვარდება ჭარამხანის ლამაზი ქალი. ამ ქალის გავლენით, მემკვიდრემ გადასწყვიტა უღალატოს სამშობლოს და მტერს მიემხროს. ეს ამბავი ყველაზედ უმეტად თავზარსა სცემს მემკვიდრის დედას, დედოფალს, რომელიც ოცი წელიწადი საქართველოს განთავისუფლებას მოელოდა, ნატრობდა იმ წამს, როდესაც მემკვიდრე წინ გაუძღვებოდა ხალხს და განათავისუფლებდა სამშობლოს მტარვალთა ხელიდან. ეს არის შინაარსი პიესისა. ავტორს დიდი ყურადღება მიუქცევია არაბისთვის, ჯარის წინამძღოლისთვის. როგორც ვსთქვით, იგი ფანატიკოსია, უიდეურესი მართალ-მორწმუნე. სტანჯავს ხალხს და სისხლსა ჰღვრის რწმენის გავლენით. თვალსაჩინოდ არის დახატული აგრეთვე დედოფალი, დედა მემკვიდრისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი

სოფია. გაზეთებს საშინელი ამბები მოუყვიათ ოსმალთა მხეცურ მოქმედების შესახებ.—დოზენგრადის სანჯაკში მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი დაუხოციათ.

ლონდონი. რუსეთმა და ავსტრიამ ზოგიერთ წინადადება წარუდგინეს ინგლისს; თუ ინგლისმა ისინი შეიწყნარა, მაკედონიის დამშვიდება შესაძლებელი გახდება. ამ სახელმწიფოთ განზრახვა აქვთ იძულონ ოსმალეთი და, როდესაც შესაძლებელი შეიქნება, რეფორმები შემოიღონ.

ბერლინი. როგორც ბელგრადიდან იუწყებიან, მეფე პეტრეს განსაკუთრებული ზომები მიუღია თავის დასაცველად. მეფის საწოლ ოთახს უნდა უდარაჯოს 12 გვარდიელმა, შთამომავლობით შვეიცარიელმა. დუნაიზე ყოველ წუთს მზად იქნება გემი, რომ გაქცევის დროს, მეფე რუმინიის მიწა-წყალზე გადავიდეს. საწოლ ოთახის ფანჯარასთან გაკეთებულია კიბე.

ბუდაპეშტი. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი აქ მოვიდა ელექტრონის რკინის გზების დასათვალიერებლად და საიდანაც იტალიას წავიდა.

სტამბოლი. მოვიდა აქ 20 ახალგაზრდა კაცი. ესენი თავისუფალი მებრძოლნი არიან, უნდათ იმ ჯარში შევიდნენ, რომელიც მეამბოხეთა წინააღმდეგ იბრძვის. შეიძლება თავისუფალ მებრძოლთაგან დამოუკიდებელი კორპუსი შესდგეს ოსმალეთის ოფიცრების წინამძღოლობით.

ვენა. მოვიდა იმპერატორი ვილჰელმი.

ყაზანი. შინაგან საქმეთა მინისტრი ერთ დღე-ღამეს დარჩა ყაზანში და გემით სამარაში წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს აკურთხეს სახალხო სახლს, რომელშიაც მოწყობილია თეატრი, წიგნთ-საცავი, სამკითხველო და სასადილო. დაჯდა 75,000 მანეთად. ეს სახლი ააგო ნიჟეგოროდის გუბერნიაში ზოგად-დაწყებით სწავლის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

სტამბოლი. კირკ-კილისეს სანჯაკში მას შემდეგ, რაც აღნიშნულ რედიფთა ბატალიონი გაიყვანეს, მშვიდობიანობაა. ყაჩაღობა განახლდა.—სოფელ ეკვარიოხში, სადაც ბოლგარნი და ბერძენნი სცხოვრობენ, სამხედრო რაზმმა ურჩია ბერძნებს სხვაგან წასვლა. ესენიც დაემორჩილნენ. ამ დროს ჯარმა სროლა დაიწყო. მოკლა 15 ბერძენი.

6 სექტემბერი.

პეტერბურგი. შანხაი და ტიანძინი საშიშრად არის ცნობილი ხოლერის მხრივ.

ზემლინი. ხმები სერბიის მეფის მოკვლაზე უსაფუძვლოა.

ათინა. ბევრმა ოსმალთა მთავრობის მიერ დევნილმა ბოლგარელმა მეამბოხემ თესალიას შეაფარა თავი.

ვენა. იმპერატორ ვილჰელმს სადგურზე იმპერატორი ფრანც-იოსები დაჰხვდა გერმანიის ფელდ-მარშლის მუნდირით. იმპერატორ ვილჰელმს ავსტრიის კავალერიის გენერლის ფორმა ეცვა. იმპერატორთა შეხვედრა ძალიან გულითადი იყო. ისინი ჰოფბურგს გაემართნენ, ხალხმა ორნივ ოვაციით გააცილა. გზა მშვენივრად იყო მორთული. სამი სატრიუმფო არკა იყო გამართული.

სტამბოლი. პორტას რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის ელჩთა ცნობაში დაწვრილებით აწერილი შეტაკება ბოლგარელთა რაზმებთან, რომელშიაც 313 მეამბოხე მოიკლა. დასასრულ ნათქვამია, რომ ენერგიული მოქმედების შეოხებით რაზმები სულ გაიფანტნენ.

ლვოვი. 500 სახლი დაიწვა და ბევრი ხალხი დაიღუპა ცეცხლისაგან.

სტამბოლი. დღეს უცხო კონტრაგენტებმა ხელი მოაწერეს ოსმალეთის $2^1/_2$ მილიონ სტერლინგის სესხზე შეთანხმებას. ოსმალეთის სამხედრო მმართველობამ როტშილდერში შეჰკრა კონტრაქტი 77,000 კილოგრამ უბოლო წამლის მოტანაზე.

სოფია. ოფიციალური ცნობებით, ქალაქი კასტორია, რომელშიაც 20000-მდე მცხოვრები იყო, ოსმალებს გადაუწვავთ.

სტამბოლი. ადრიანოპოლიდან იუწყებიან, რომ კირკ-კილისს მოვიდა 500 ურემი მაჰმადიანთა ოჯახებით საზღვრის სოფლებიდან. ესენი ახლო-მახლო სოფლებში დაასახლეს. გაქცეულ ბოლგარებს ძალით აბრუნებენ სამშობლოში. კირკ-კილისის ოლქის გასაწმენდად დიდი სამხედრო მოძრაობა იწყება. პირველმა ცნობამ სამი ბოლგარიის დივიზიის ბინიდან გამოყვანაზე ხალხი ძლიერ აღელვა.

სტამბოლი. ცნობა იმ სახელმწიფოების დიპლომატიურ მისიათა მიმართ, რომელთაც იქ დიდი მიმოსვლა აქვთ ზღვით, ეხება გემის „Rackany"-ს დინამიტით აფეთქებას. პორტა წინადადებას აძლევს სახელმწიფოებს გასაფრთხილებელ ზომებისას მომავლისათვის და იმედოვნებს, რომ აღნიშნული სახელმწიფოები თვითონ მიიღებენ ზომებს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

მატარებელთა ცხრილი

—

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(რიცხვები გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათით, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშპალოთი, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 7[illegible] ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან მოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან მოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ.). 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან მოდის:

ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპანისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

—

«მცხეთა-ტფილისის»

ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ **ამ თვის ათში,** საღამოს 6 საათზე, ალექსი დავითიშვილის სახლში (Тамаринская ул., № 9) დანიშნულია **საზოგადო კრება** მოსასმენად კომისიის მოხსენებისა მცხეთაში ადგილების შეძენის შესახებ. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **[illegible]** ქუჩაზე. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—222)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—11.

ფინანსთა სამინისტროს მიერ ნება დართული

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრამიანისა

ტფილისში

აბრამიანი ავტორია „სავაჭრო, საფაბრიკო და სანავთის მრეწველო ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი". სახელმძღვანელო მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილის მიერ.

კურსებზე ასწავლიან და ამზადებენ პრაქტიკით ორსავე სქესის მსურველთ $4^1/_2$ თვეში.

სასწავლო საგნები:

1. ბუხჰალტერია ორმაგი, იტალიანურ სისტემისა, მრეწველობის ყველა დარგისთვის გამოსაყენებელი, საბანკო, სავაჭრო, საკომისიო, საქარხნო და სხვა. 2. საკომერციო არითმეტიკა. 3. საკომერციო კორესპონდენცია. 4. სავექსილო წესდება და სავაჭრო უფლება. 5. კალლიგრაფია და ცუდის ხელის გასწორება. 6 არითმეტიკა საანგარიშებლებზე. 7. „რემინგტონის" საწერ მანქანაზე მუშაობა (სურვილისამებრ).

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულნი და საქმის სპეციალურად მცოდნენი, რომელთაც ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო ნაწილი ამტკიცებს. კალიგრაფიის მასწავლებლად მოწვეულია კალიგრაფ მხატვარი.

მიღება ყოველ დღე 5-დან 7 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 1903 წლ. 15 სექტემბერს, პერიოდულად ყოველ $4^1/_2$ თვის შემდეგ, ყოველ დღე სადილთ უკან. ფასი 60 მანეთი მთელის კურსისა. გათავების შემდეგ ეძლევა ატესტატი, ნება დართული ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ. მსურველმა უნდა მიჰმართოს წერილით ან პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 46, ტელეფონი 744. წესები და პროგრამა მსურველს უფასოდ ეგზავნება. ზემოხსენებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს, ფასდადებულს არ იხდის. ცალი წიგნი ღირს 3 მან. 50 კაპ. (10 4)

სავაჭრო სახლი

ლეოპოლდ ნეიშტლერი

აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 სექტემბრიდან ერევნის მოედანზე, ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სახლში, გაიხსნა

საწყობი რეზინის კალოშებისა

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურისა და რუსეთის და საზღვარ-გარეთ დამზადებულ ტყავეულის

ნაწარმოების მსყიდველ ამხანაგობისა. (5—147—5)

Дозв. ценз. Тифлис, 6 Сентября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)